GÜRTİAD

ქართველ და თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია
GÜRCÜ VE TÜRK İŞADAMLARI DERNEĞİ

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

2020 / 17 – 24 Nisan / აპრილი

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon/ინფლაცია
3 723.5	4 763.5	5.1 %	11.6 %	6.1%

Değerli Üyeler

Öncelikle, Cumhuriyetin ilanının en önemli temeli olan TBMM'nin kuruluşunun ve bugünün MİLLİ EGEMENLİK ve ÇOCUK BAYRAMI olarak çocuklara armağan edilişinin 100ncü yılını kutluyoruz, bu vesile ile bu toprakları bize tek vatan olarak emanet eden Gazi Mustafa Kemal Atatürk ve Silah Arkadaşlarını bir kez daha rahmetle anıyorum. Geleceğimizin garantisi olan çocuklarımıza aydınlık gelecek ve sağlıklı günler dilerim.

Dün video konferans üzerinden yaptığımız yatırımcılar konseyi toplantısı hakkında bilgi paylaşmak istiyorum.

Gürcistan'da iş yapan tüm ülkelerin ticaret odaları ve derneklerin katıldığı toplantıya Hükümetten Başbakan Yardımcısı, Ekonomi ve Finans Bakanları başta olmak üzere diğer ilgili bakanlar katıldı. Bizim Anketlerden çıkan ve birebir sizden dinlediğim sorunlarımızı dile getirdim, yazılı olarak ta ilgili kurumlara ilettik. Tüm ülke temsilcilerinin sorunları aynı, vergiler, ödenmeyen vergiler için hesapların bloke edilmesi, Gümrük teki sıkıntılar, araçla sokağa çıkma izni (dağıtım aracı), online çalışma izinleri vs.vs. Liste uzun.

Çağrı merkezlerine erişilebilirlik ve geri dönüşleri konusunda ciddi sıkıntılar olduğu söylendi fakat bir günlük toplam arama sayısının 216.000 olduğunu söylediler (ciddi rakam, buna aylar öncesi planlanmamış altyapı dayanmaz).

Yetkililer problemlerin farkındadırlar, Gürcistan'daki korona vakalarının ve ölümlerin az oluşunu bu önlemlere bağlıyorlar.

Zamanlama konusunda da maalesef net bir bilgi alamadık bu önümüzü görmek ve geleceği planlamak için önemlidir, bunun salgın gelişim sürecine bağlı olduğu söylendi.

Yarın Başbakanın önümüzdeki süreçler ve destek paketiyle ilgili bir açıklaması bekleniyor.

Bu zor dönemi, sabırla, sağlıkla, en az kayıpla geçirmenizi temenni eder hepinize hayırlı Ramazanlar dilerim.

Osman Turan

AK YIL ZEMİN · Ank Catering · ARKAS GEORGIA LLC · EM Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC WAIKIKI · ნაბახტარი · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · Ziraat Bankası

ძვირფასო წევრებო

უპირველეს ყოვლისა მინდა მოგილოცოთ რესპუბლიკის გამოცხადების უმთავრესი საფუძველის, თურქეთის დიდი ეროვნული ასამბლეის დაარსების და ამ დღის, როგორც ეროვნული სუვერენიტეტის და ბავშვთა დღესასწაულის ბავშვებისთვის გადაცემის 100 წლის იუბილე. მინდა ვისარგებლო ამ შესაძლებლობით, კიდევ ერთხელ მოვიგონო და პატივი მივაგო მთავარსარდალ გაზი მუსტაფა ქემალ ათათურქს და მის თანამებრძოლებს, რომლებმაც გვიანდერძეს ეს მიწა, როგორც ერთიან ერს. ჩვენს შვილებს კი, რომელნიც ჩვენი მომავლის გარანტორები არიან, მინდა ჯანმრთელობა და ნათელი მომავალი ვუსურვო.

ინფორმაცია მინდა გაგიზიაროთ ვიდეო კონფერენციის გზით ჩატარებული საინვესტიციო საბჭოს სხდომის შესახებ. აღნიშნულ სხდომაში, რომელსაც საქართველოში მოღვაწე ყველა ქვეყნის სავაჭრო პალატების და ასოციაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, მთავრობის მხრიდან ვიცე პრემიერმა, ეკონომიკის, ფინანსთა და სხვა მინისტრებმა მიიღეს მონაწილეობა. სხდომისას მე ვისაუბრე იმ პრობლემების თაობაზე, რომლის შესახებაც ინფორმაცია ჩვენი გამოკითხვის მეშვეობით იქნა მოგროვებული და რომლებზეც თქვენთან საუბრისას შევიტყვე. მინდა აღვნიშნო, რომ სხვა ქვეყნის წარმომადგენლებსაც მსგავსი პრობლემები აქვთ: გადასახადები, ანგარიშებზე ინკასოს დადება გადასახადების გადაუხდელობის გამო, საბაჟო პრობლემები, ნებართვები ავტომობილებით გადაადგილებისთვის (დისტრიბუცია), ნებართვები ონლაინ მუშაობისთვის და ა.შ.

სხდომაზე განხილულ იქნა ის პრობლემა, რომელიც უკავშირდება ცხელ ხაზებთან დაკავშირებას, თუმცა აღინიშნა რომ დღის განმავლობაში 216 000 ზარი შევიდა (ძალიან დიდი რიცხვია, რომელსაც თვეების განმავლობაში დაუგეგმავი ინფრასტრუქტურა ვერ გაუძლებს). ხელისუფლებას აქვს ინფორმაცია ამ პრობლემების შესახებ და ქვეყანაში გატარებულ ღონისძიებებს უკავშირებს კორონა ვირუსის შემთხვევებისა და დაღუპულთა რაოდენობას.

სამწუხაროდ ჩვენ ვერ მივიღეთ ზუსტი ინფორმაცია ვადებთან დაკავშირებით, რომელიც აუცილებელია სამომავლო ხედვისა და გეგმების ჩამოსაყალიბებლად. აღინიშნა, რომ ეს საკითხი პანდემიის განვითარების პროცესზეა დამოკიდებული.

ველოდებით პრემიერ მინისტრის განცხადებას სამომავლო პროცედურებთან და მხარდაჭერის პაკეტებთან დაკავშირებით.

ამ რთული პერიოდის ჯანმრთელად, მოთმინებით და უმცირესი დანაკარგებით გადალახვას გისურვებთ და ასევე გილოცავთ მარხვის დაწყებას.

ოსმან თურან

AK YIL ZEMİN · Ank Catering · ARKAS GEORGIA LLC · EM Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC WAIKIKI · ნაბახტარი · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · Ziraat Bankası

Hükümet Tarafından Geliştiren Krize Karşı Mücadele Planı
მთავრობის ანტი კრიზისული გეგმა

24 Nisan 2020 tarihinde Gürcistan Başbakanı, hükümet tarafından geliştiren krize karşı mücadele planı sundu. Başbakana göre, Hükümet tarafından geliştiren krize karşı mücadele planı 3 temel bileşenden oluşmaktadır: Sağlık; Sosyal yardım; Ekonomiye Destek.

Gakharia'ya göre, hükümet kriz yönetiminde 3,5 milyar GEL harcayacak. Bu miktardan 1,35 milyar Lari vatandaşlara yönelik sosyal yardım için harcanacak; 2.110 milyar Lari - ekonomiye destek vermek için; 350 milyon Lari ise sağlık hizmetleri için harcanacaktır.

Bu süre içerisinde işini kaybeden veya ücretsiz izin verilen kişilere 6 ay boyunca 200 GEL tutarında devlet yardımı verilecektir. Çalışanları tutan şirketlere ise her çalışan için sübvansiyon verilecek.

- 6 ay boyunca 750 Lariye kadar maaş, gelir vergisinden muaf tutulacak
- 1 500 Lariye kadar maaş ise 750 lari oranında gelir vergisinden muaf tutulacak

Başbakan, salgın nedeniyle ilan edilen kısıtlamaların kaldırılmasına yönelik kademeli planı da sundu.

1. İlk aşamada, 27 Nisan'dan itibaren hafif araçlarla seyahat etmesine tamamen izin verilecektir, Taksi hizmetine tamamen izin verilecek, Online alışverişe tamamen izin verilecek (toptan ve perakende), teslimat (delivery) hizmetlerine tamamen izin verilecek (herhangi bir ürün için), Açık tip tarım pazarlarının faaliyetlerine tamamen izin verilecek.
2. İkinci aşama iki hafta içinde başlayacaktır: İnşaat, İnşaat denetim faaliyetleri, İnşaat malzemelerin üretimi, Oto yıkama ve servis hizmetleri, Bilgisayar ve beyaz eşya servis hizmetleri, Rekreasyon bölgelerin hizmetleri.
3. Üçüncü aşamada, sokaktan bağımsız girişleri olan perakende ve toptan satış mağazaları açılacaktır (AVMler hariç). Aynı zamanda her tür açık pazar ve her tür üretim ve yayıncılık faaliyetleri.
4. Dördüncü aşamada yerinde hizmet vermek üzere alışveriş merkezler, açık tip kafe ve restoranlar, her tür finans hizmetleri, berber ve güzellik salonları, estetik merkezleri açılacaktır.
5. Beşinci aşamada, kapalı tip pazarlar, her tür kafe ve restoranlar yerinde hizmet vermek üzere açılacaktır.
6. Altıncı aşamada, spor ve eğlence merkezler, kumarhaneler, oteller, eğitim kurumlar ve diğer tüm faaliyet gösteren kurumlar açılacaktır.

https://bit.ly/2VzZIDX

AK YIL ZEMİN · Ank Catering · ARKAS GEORGIA LLC · Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC WAIKIKI · ნაბეღლავი · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · Ziraat Bankası

2020 წლის 24 აპრილს საქართველოს პრემიერ მინისტრმა მთავრობის ანტი კრიზისული გეგმა წარადგინა. პრემიერის განმარტებით ანტი კრიზისული გეგმა 3 კომპონენტისგან შედგება. ესენია: ჯანდაცვა, სოციალური დახმარებები და ეკონომიკის მხარდაჭერა.

გახარიას განმარტებით მთავრობა კრიზისის მენეჯმენტისთვის 3,5 მილიარდ ლარს დახარჯავს. აღნიშნული თანხიდან 1,35 მილიარდი დაიხარჯება მოქალაქეების მიზნობრივი სოციალური მხარდაჭერისთვის, 2,110 მილიარდი - ეკონომიკის მხარდაჭერისთვის, 350 მილიონი - ჯანდაცვისთვის.

იმ ადამიანებმა, რომლებმაც აღნიშნულ პერიოდში დაკარგეს სამსახური ან დაენიშნათ უხელფასო შვებულება, 6 თვის განმავლობაში მიიღებენ სახელმწიფო დახმარებას 200 ლარის ოდენობით. იმ კომპანიებმა კი, რომლებმაც შეინარჩუნეს თანამშრომლები, ყოველ შენარჩუნებულ თანამშრომელზე მიიღებენ სუბსიდირებას:

- 6 თვის განმავლობაში 750 ლარის ოდენობის ხელფასი გათავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისგან
- 1 500 ლარამდე ხელფასი კი, 750 ლარის ოდენობაზე გათავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისგან

პრემიერმა ასევე წარმოადგინა პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური შეზღუდვების ეტაპობრივი მოხსნის გეგმა.

1. პირველ ეტაპზე, 27 აპრილიდან სრულად იქნება დაშვებული მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილება, სრულად იქნება დაშვებული ტაქსების ოპერირება, სრულად იქნება დაშვებული ონლაინ ვაჭრობა - საბითუმო და საცალო, მიტანის მომსახურება ნებისმიერ პროდუქტზე და ღია ტიპის აგრარული ბაზრების საქმიანობა.
2. მეორე ეტაპი ორი კვირის შემდეგ დაიწყება და ეს იქნება მშენებლობა, მშენებლობის ზედამხედველობასთან დაკავშირებული საქმიანობა, სამშენებლო მასალების წარმოება, ავტო სამრეცხაოების და ავტო სერვისები, კომპიუტერების და პირადი საყოფაცხოვრებო საქონლის რემონტი და სარეკრეაციო ზონების ფუნქციონირება.
3. მესამე ეტაპზე გაიხსნება საცალო და საბითუმო მაღაზიები გარდა მოლებისა, რომლებსაც გააჩნიათ დამოუკიდებელი შესასვლელი ქუჩიდან. ასევე, ყველა ტიპის ღია ბაზრობა, ყველა ტიპის წარმოება და საგამომცემლო საქმიანობა.
4. მეოთხე ეტაპზე გაიხსნება სავაჭრო მოლები, ღია ტიპის რესტორნები და კვების ობიექტები ადგილზე მომსახურებით. ყველა ტიპის საფინანსო მომსახურება, სილამაზის სალონები და ესთეტიკური მედიცინის ცენტრები.
5. მეხუთე ეტაპზე გაიხსნება დახურული ტიპის ბაზრები და ბაზრობები, ყველა ტიპის რესტორანი /კვების ობიექტები ადგილზე მომსახურებით.
6. მეექვსე ეტაპზე გაიხსნება გასართობი, სპორტული-გამაჯანსაღებელი, შემოქმედებითი საქმიანობა. აზარტული და სხვა მომგებიანი სათამაშო ბიზნესი, სასტუმროები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, ყველა სხვა საქმიანობა (არა დისტანციურ რეჟიმში).

https://bit.ly/2VzZIDX

AK YIL ZEMİN · Ank Catering · ARKAS GEORGIA LLC · EM Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC WAIKIKI · ნაბახტარი · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · Ziraat Bankası

Korona Virüs
კორონა ვირუსი

Son istatistik verilerine göre dünya çapında Korona Virüs vakalarının sayısı 2.5 milyonu aşmıştır. Worldometers'e dayanarak, vakaların sayısı 2 726 852, vefat eden kişi sayısı – 191 090, iyileşen kişi sayısı – 750 166. En çok vaka sayısı ABD, İspanya, İtalya, Fransa ve Almanya'da görülmüştür. Konu ile alakalı diğer detaylar aşağıdaki tabloda bulunmaktadır.

Ayrıca Gürcistan'da Hükümetin 21 Nisan tarihinde aldığı karar uyarınca araç ile dolaşım kısıtlanması 27 Nisan'a kadar, Olağanüstü Hal ise 22 Mayıs tarihine kadar uzatılmıştır.

კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა მსოფლიოს მასშტაბით, ბოლო სტატისტიკური მონაცემებით 2.5 მილიონს გადააჭარბა. Worldometers-ის ცნობით, ჯამში, ახალი ვირუსით 2 726 852 ადამიანი დაინფიცირდა, გარდაიცვალა 191 090 პაციენტი, ხოლო გამოჯანმრთელდა 750 166 პირი. ყველაზე მეტი ინფიცირებული ამ ეტაპისთვის აშშ-ს, იტალიას, ესპანეთს, გერმანიას და ჩინეთს ჰყავს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული დამატებითი სტატისტიკა ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეგიძლიათ იხილოთ.

გარდა აღნიშნულისა, საქართველოს მთავრობამ, 21 აპრილის გადაწყვეტილებით ქვეყნის ტერიტორიაზე მსუბუქი ავტომობილებით გადაადგილების აკრძალვა 27 აპრილამდე, ხოლო საგანგებო მდგომარეობა 22 მაისამდე გაახანგრძლივა.

AK YIL ZEMIN · Anıl Catering · ARKAS GEORGIA LLC · Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC WAIKIKI · ნაბახტარი · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · Ziraat Bankası

Ülke ქვეყანა	Toplam Vaka ფაქტი	Ölüm გარდაცვალება	İyileşme გამოჯანმრთელება	Hasta პაციენტი
ABD / აშშ	886 709	50 243	85 922	750 544
İspanya / ესპანეთი	213 024	22 157	89 250	101 617
İtalya / იტალია	189 973	25 549	57 576	106 848
Fransa / საფრანგეთი	158 183	21 865	42 088	94 239
Almanya / გერმანია	153 129	5 575	106 800	40 754
Birleşik Krallık / დიდი ბრიტანეთი	138 078	18 738	N/A	118 996
Türkiye / თურქეთი	101 790	2 491	18 491	80 808
İran / ირანი	87 026	5 481	64 843	16 702
Çin / ჩინეთი	82 804	4 632	77 257	915
Rusya / რუსეთი	62 773	555	4 891	57 327
Gürcistan / საქართველო	431	5	114	312
Total (Dünya) სულ (მსოფლიო)	2 726 852	191 090	750 166	1 785 596

Ocak – Mart Döneminde Gürcistan'ın Dış Ticareti
საქონლით საგარეო ვაჭრობა საქართველოში 2020 წ. იანვარ-მარტი

2020 yılı Ocak - Mart döneminde Gürcistan'ın dış ticaret cirosu 2 773.9 milyon ABD doları teşkil etmiştir. Bu rakam bir önceki yılın aynı verilerine kıyasla %2.7 ile daha az. İhracat 778.2 milyon ABD dolar (düşüş oranı %5.9), ithalat ise - 1 995.8 milyon ABD doları (artış oranı %1.4) olmuştur. Negatif ticaret bilançosu 1 217.6 milyon dolara ulaşarak dış ticaret cirosunun % 43.9 teşkil etmiştir.

2020 წლის იანვარ-მარტში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2 773.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2.7 პროცენტით ნაკლებია. აქედან ექსპორტი 778.2 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (5.9 პროცენტით ნაკლებია), ხოლო იმპორტი 1 995.8 მლნ. აშშ დოლარს (1.4 პროცენტით ნაკლებია). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა, 2020 წლის იანვარ-მარტში, 1 217.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 43.9 პროცენტია.

2020 yılı Ocak - Mart döneminde Gürcistan'ın toplam dış ticaret cirosunda en büyük on ticaret ortağının payı %71.1 olarak teşkil etmiştir. En büyük ticaret ortakları şunlardır: Türkiye 402.2 mln $, Azerbaycan 306.2 mln $, Rusya 301.4 mln $.

2020 წლის იანვარ-მარტში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 71.1 პროცენტი შეადგინა. ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან: თურქეთი (402.2 მლნ. აშშ დოლარი), აზერბაიჯანი (306.2 მლნ. აშშ დოლარი) და რუსეთი (301.4 მლნ. აშშ დოლარი).



2020 yılı Ocak - Mart döneminde Gürcistan'ın toplam ihracatında en büyük on ticaret ortağının payı %77.9 olarak teşkil etmiştir. En büyük ticaret ortakları şunlardır: Azerbaycan – 121.9 mln $, Çin – 99.9 mln $, Rusya – 91.2 mln $.

2020 წლის იანვარ-მარტში ათი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 77.9 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი საექსპორტო სამეული შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: აზერბაიჯანი (121.9 მლნ. აშშ დოლარი), ჩინეთი (99.9 მლნ. აშშ დოლარი) და რუსეთი (91.2 მლნ. აშშ დოლარი).

2020 yılı Ocak - Mart döneminde Gürcistan'ın toplam ithalatında en büyük on ticaret ortağının payı %69.8 olarak teşkil etmiştir. En büyük ticaret ortakları şunlardır: Türkiye – 348.3 mln $, Rusya – 210.1 mln $, Azerbaycan – 184.3 mln $.

2020 წლის იანვარ-მარტში ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 69.8 პროცენტი შეადგინა. პირველ სამეულში შედის: თურქეთი (348.3 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (210.1 მლნ. აშშ დოლარი) და აზერბაიჯანი (184.3 მლნ. აშშ დოლარი).

Yasa Değişikliği

საკონონმდებლო ცვლილება

Değerli üyemiz, ülkedeki mevcut yasal değişiklikler hakkında her iki dilde makale "Nodia, Urumashvili & Partners" www.nplaw.ge şirket tarafından hazırlanmıştır. Derneğimiz "Nodia, Urumashvili & Partners" şirketine işbirliği içi yürekten teşekkür eder, hazırlanan makalesini bilgilerinize sunarız.

ძვირფასო წევრებო, ქვეყანაში მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებული ორენოვანი სტატია მოამზადა ასოციაციის წევრმა „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები" www.nplaw.ge ასოციაცია გულითად მადლობას უხდის თანამშრომლობისთვის კომპანიას „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები" და გთავაზობთ მომზადებულ მასალას.

15 Nisan 2020 tarihinde Gürcistan Adalet Bakanı tarafından yeni Korona Virüs (COVID-19) yayınlamasının önlemesi maksadıyla Kamu Kurum – Milli Sicil Ajansı tarafından olağanüstü durumun süresince yürürlükte olan Mevzuat ve Kararnameyle belirlenmiş kurallar ve şartlara farklı olarak hizmet verebilme kuralları ve şartlarının belirlemesi hakkında emir alınmıştır.

Ajans hizmetleri uzaktan my.gov.ge vatandaş portal vasıtasıyla kullanabilir ve alınabilir. Ajans, başvuru dilekçeleri ve dokümanları sadece söz konusu emirde açıklanmış sosyal önemi taşıyan hizmet verebilme talebine (Hizmet listesine EMİR N521 bakabilirsiniz) istinaden alabilme yetkisine sahiptir. Bu hizmetin alabilmesi için ilgili kişi tarafından ajansa telefon edilmesi (danışma hattı (032) 2405405 vasıtasıyla) ve sırasının rezervasyonu ve görüşmenin koordine edilmesini gerekmektedir.

2020 წლის 15 აპრილს საქართველოს იუსტიციის მინისტრმა მიიღო ბრძანება ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების წესებისა და პირობების დადგენის შესახებ, რომელიც საგანგებო მდგომარეობის ვადით განსაზღვრავს სააგენტოს საქმიანობის ადმინისტრირების, მის მიერ გაწეული მომსახურების კანონმდებლობით და დადგენილისაგან განსხვავებულ წესებსა და პირობებს.

სააგენტოს სერვისებით სარგებლობა და მომსახურების მიღება შესაძლებელია დისტანციურად, მოქალაქის პორტალის my.gov.ge-ს საშუალებით. სააგენტო უფლებამოსილია განცხადებები და დოკუმენტაცია მატერიალური სახით მიიღოს მხოლოდ ბრძანებაში მითითებული სოციალურად მნიშვნელოვანი მომსახურების გაწევის მოთხოვნით (მომსახურების ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე: ბრძანება N521). ამ მომსახურების მისაღებად აუცილებელია დაინტერესებული პირის მიერ სააგენტოში სატელეფონო კომუნიკაციის (ცხელი ხაზის (032) 2405405 საშუალებით) საფუძველზე ვიზიტის შეთანხმება და რიგის დაჯავშნა.

AK YIL ZEMIN · Ank Catering · ARKAS GEORGIA LLC · Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC WAIKIKI · ნაბახტარი · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · Ziraat Bankası

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი (24.04.2020)

USD/GEL – 3.1854 TRY/GEL – 0.4569 EUR/GEL – 3.4291 GBP/GEL – 3.9317

USD/GEL

17 – 24 Nisan 2020

USD/TRY

17– 24 Nisan 2020

TRY/GEL

17 – 24 Nisan 2020